

საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 97

"--24--" "-----08-----" 2018

შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ უნიჯეოში 2018/2019 სასწავლო წელს მაგისტრატურაში მიღების შესახებ

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანებით დამტკიცებული „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ დანართი 1- ის 29-ე და 30 -ე მუხლების, შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ უნიჯეოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე -2 მუხლის მე - 3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ა) 2018/2019 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს მიმდინარე წლის 27 აგვისტოდან 12 სექტემბრის ჩათვლით 10⁰⁰ – 18⁰⁰ საათამდე შაბათ - კვირის გარდა (მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, მეორე ჩიხი, 5^ა კორპუსი), აპლიკანტის რეგისტრაციის წინაპირობაა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ მაგისტრანტთა სიაში ყოფნა;

ბ) მაგისტრანტობის კანდიდატების მიერ წარმოსადგენი საბუთების ნუსხა განისაზღვროს შემდეგნაირად:

- განცხადება რექტორის სახელზე;
- ბაკალავრის ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომისა და დიპლომის დანართის დამოწმებული ასლი (დიპლომის არარსებობის შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა);
- პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
- 2 ფერადი სოტო-სურათი (3x4) დისკით;
- სამხედრო მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებისთვის)
- ერთიანი სამაგისტრო გამოცდები გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი

ბ) გამოცდები სპეციალობასა და ინგლისურ ენაში ჩატარდეს მიმდინარე წლის 13 - 14 სექტემბერს 12⁰⁰ საათზე, გამოცდების შედეგები გამოქვეყნდეს 17 სექტემბერს 18⁰⁰ საათზე;

გ) სააპელაციო განაცხადის შემოტანის ვადები განისაზღვროს მიმდინარე წლის 18, 19, 20 სექტემბერს 10⁰⁰ - დან 13⁰⁰ საათამდე, აპელაციის შედეგები გამოქვეყნდეს 21 სექტემბერს 18⁰⁰ საათზე;

დ) შეიქმნას სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტი;

ე) მაგისტრანტობის კანდიდატთან ხელშეკრულების გაფორმება მოხდეს სააპელაციო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ;

ვ) ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს ხელშეკრულებით;

ზ) რექტორის სამართლებრივი აქტი მაგისტრანტობის კანდიდატების ჩარიცხვასთან დაკავშირებით შედგეს მიმდინარე წლის 05 ოქტომბრამდე.

რექტორი

მზია ქათამაძე

